



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 16

2019 წლის 19 ნოემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაზიანებული სახურავების ასევე სახურავების არმქონე საცხოვრებელი სახლების გამოვლენის აღრიცხვისა და თუნუქით უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაზიანებული სახურავების ასევე სახურავების არმქონე საცხოვრებელი სახლების აღრიცხვისა და თუნუქით უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის N30 დადგენილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების გამოვლენის, აღრიცხვისა და თუნუქით უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ (www.matsne.gov.ge 27/04/2018 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი (010250050.35.133.016265))
3. დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

ნადიმ ვარშანიძე

